



საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში  
კონცერტმასიტერის/ილუსტრატორის თანამდებობაზე დასაკავებელი კონკურსის პირობები

-----

I. ზოგადი დებულებები

1. კონცერტმასიტერის თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარება გულისხმობს ღია კონკურსის ჩატარებას გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპის დაცვით. კონკურსი ჩატარდება მიმართულებების მიხედვით სასემსრულებლო ხელოვნების ფაკულტეტზე არსებული სასწავლო პროგრამების მოთხოვნათა შესაბამისად
2. კონცერტმასიტერი/ილუსტრატორი მიეკუთვნება სასწავლო-დამხმარე პერსონალს, რომელიც მნიშვნელოვნად ხელს უწყობს კონცერტმასიტერად/ილუსტრატორად ისეთ სასწავლო კურსებში მონაწილეობას როგორცაა: სოლო აკადემიური სიმღერა, საოპერო კლასი, კამერული სიმღერა, ვოკალური ანსამბლი, საკონცერტმასიტერო დაოსტატების კლასი, კამერული ანსამბლი, სპეც.დირიჟორობა, საგუნდო კლასი, საორკესტრო სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები
3. კონცერტმასიტერის/ილუსტრატორის თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების მიზნით იქმნება საკონკურსო კომისია
4. საკონკურსო კომისიის შემდგენლობა განისაზღვრება 5 წევრით
5. საკონკურსო კომისიის წევრები ინიშნებიან რექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით
6. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ყველა გადაწყვეტილება კონკურსის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით
7. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე მისი შემადგენლობიდან კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით, ფარული კენჭიყრით. კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს (ოქმებს) და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს
7. საკონკურსო კომისიის მდივანად აირჩევა კომისიის ნებისმიერი წევრი კომისიის პირველსავე სხდომაზე ფარული კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით. კომისიის მდივანი ადგენს დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს, რეგისტრაციაში ატარებს საკონკურსო კომისიაში შეტანილ კორესპონდენციას, კონკურსში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს, ადგენს კონკურსის შემაჯამებელ ოქმებს და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს

## II. კონკურსის გამოცხადების, ჩატარების პრინციპები და კანდიდატთა შეფასება

1. კონცერტმაისტერთა/ილუსტრატორთა თანამდებობის დასაკავებელი კონკურსი ცხადდება 2018 წლის 16 აპრილს, კანდიდატთაგან საბუთების მიღებამდე ერთი თვით ადრე. საბუთები მიიღება 2018 წლის 16 მაისიდან 2018 წლის 2018 წლის პირველ ივნისამდე. კონკურსი ჩატარდება 2018 წლის 16 ივნისს.
2. კანდიდატთა საბუთების მიღება იწარმოებს კოლეჯის N 1 ოთახში
3. ყველა კანდიდატი სარგებლობს თანაბარი უფლებებით
4. კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასება ხდება კომისიის მიერ მისი (კანდიდატის) დოკუმენტურად დადასტურებული, პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

კონცერტმაისტერის/ილუსტრატორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება:

### ფორტეპიანოს მიმართულებით-

ა) კამერული ანსამბლის კლასში კონცერტმაისტერის/ილუსტრატორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება შეასრულოს:

- > კლასიკური ან რომანტიკული პერიოდის კომპოზიტორის სონატის პირველი ნაწილი
  - > ანსამბლის (საფორტეპიანო ტრიო, კვარტეტი ან კვინტეტი) პირველი ნაწილი
  - > ფურცლიდან კითხვა
- საერთო დრო-15 წუთი

ბ) საკონცერტმაისტერო დაოსტატების კლასში კონცერტმაისტერის/ილუსტრატორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება შეასრულოს:

### ვოკალისტს:

- > ერთი სცენა და ერთი დიდი არია
  - > რომანსი ან მცირე არია (შერჩეული სურვილის მიხედვით)
  - > ფურცლიდან კითხვა
- საერთო დრო-15 წუთი

### ინსტრუმენტალისტს:

- > ბაროკოს, კლასიკური ან რომანტიკული პერიოდის კომპოზიტორის სონატის პირველი ნაწილი
  - > ვირტუოზული პიესა (შერჩეული სურვილის მიხედვით)
  - > ფურცლიდან კითხვა
- საერთო დრო 15 წუთი

საორკესტრო (სიმებიანი) საკრავების მიმართულებით კონცერტმაისტერის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება შეასრულოს:

- > კლასიკური ან რომანტიკული პერიოდის კომპოზიტორის კონცერტის ან სონატის პირველი ნაწილი
  - > ვირტუოზული თანხლების მქონე პიესა (შერჩეული სურვილის მიხედვით)
  - > ფურცლიდან კითხვა
- საეთო დრო-15 წუთი

საორკესტრო (ჩასაბერი და დასარტყამი)) საკრავების მიმართულებით კონცერტმასტერის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება შეასრულოს:

- > კლასიკური ან რომანტიკული პერიოდის კომპოზიტორის კონცერტის ან სონატის პირველი ნაწილი
  - > ვირტუოზული თანხლების მქონე პიესა (შერჩეული სურვილის მიხედვით)
  - > ფურცლიდან კითხვა
- საეთო დრო-15 წუთი

სოლო აკადემიური სიმღერის მიმართულებით კონცერტმასტერის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება:

- > ერთი არია
  - > ერთი რომანსი
  - > ფურცლიდან კითხვა ტრანსპონირებით, მელოდიური ხაზის სოლფეჯირებით, რომლის დროსაც შემოწმდება პოეტური ტექსტის ორიგინალში წაკითხვის უნარი (ქართულ, რუსულ, იტალიურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე)
  - > ნაწარმოების სწავლებისა და ნაწარმოებზე მუშაობის ხერხები და მეთოდები
- საერთო დრო-20 წუთი

საოპერო კლასში კონცერტმასტერის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება:

- > ერთი სცენა
  - > ერთი არია
  - > ფურცლიდან კითხვა ტრანსპონირებით, მელოდიური ხაზის სოლფეჯირებით, რომლის დროსაც შემოწმდება პოეტური ტექსტის ორიგინალში წაკითხვის უნარი (ქართულ, რუსულ, იტალიურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე)
  - > ნაწარმოების სწავლებისა და ნაწარმოებზე მუშაობის ხერხები და მეთოდები
- საერთო დრო-20 წუთი

გუნდის დირიჟორობის მიმართულებით კონცერტმასტერის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება:

- > საშუალო სირთულის აკაპელური ნაწარმოები
  - > რთული აკაპელური ნაწარმოები (შერეული გუნდი)
  - > თანხლებიანი ნაწარმოები (გუნდი და აკომპანემენტი)
- საერთო დრო-20 წუთი

კონკურსში მონაწილეებმა პარტნიორები შეუძლიათ შეარჩიონ თავიანთი სურვილის მიხედვით. გარდა საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული სავალდებულო პროგრამისა, თითოეული კონკურსანტი აიღებს ბილეთს, სადაც მითითებული იქნება:

- ა) ფურცლიდან კითხვა
- ბ) ტრანსპონირებისთვის განკუთვნილი მასალა (მხოლოდ სოლო აკადემიური სიმღერის მიმართულებით)
- გ) უცხოენოვანი ტექსტი (მხოლოდ სოლო აკადემიური სიმღერის მიმართულებით)
- დ) ნაწარმოების სწავლებისა და ნაწარმოებზე მუშაობის უნარ-ჩვევები (მხოლოდ სოლო აკადემიური სიმღერის მიმართულებით)

### III.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- > განათლების დამადასტურებელი საბუთი
  - > ავტობიოგრაფიული ცნობა (CV)
  - > 2 ფოტოსურათი (3/4)
  - > პირადობის მოწმობის ასლი
  - > ატესტაციის გავლის დამადასტურებელი საბუთი (წლების აღნიშვნით)
  - > განცხადება (რომელ მიმართულებაზე შეაქვს საბუთები)
  - > უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებაში კონცერტმაისტერის/ილუსტრატორის თანამდებობაზე მუშაობის ბოლო 4 წლის გამოცდილება
  - სტაჟის არმქონეთათვის უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებაში მომუშავე ორი პროფესორის რეკომენდაცია
- იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტს სურს მუშაობა ორ მიმართულებაზე მან მონაწილეობა უნდა მიიღოს შესაბამის ორ კონკურსში
- კომისიის წევრი უფლებამოსილია დააფიქსიროს განსხვავებული მოსაზრება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

### IV. კანდიდატის შეფასების ფორმის ნიმუში:

კანდიდატის სახელი, გვარი

დასაკავებელი თანამდებობა-კონცერტმაისტერი, ილუსტრატორი (ხაზი გაუსვით)

თარიღი:

მიმართულება:

მიღებული განათლება	სამუშაო გამოცდილება	ატესტაცი	სპეციალური მოთხოვნები				საერთო ჯამი
			1	2	3	4	

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივანი

კომისიის წევრები

#### V. კონკურსის შედეგების შეჯამება და გამოცხადება

1. კონკურსის შედეგებს აჯამებს საკონკურსო კომისია, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით
2. კონკურსის შედეგები ცხადდება კონკურსის სრული ეტაპის დასრულებიდან ათი დღის ვადაში და განთავსდება კოლეჯის თვალსაჩინო ადგილას და კოლეჯის ვებ, გვერდზე
3. კანდიდატი უფლებამოსილია გაეცნოს საკონკურსო კომისიის ოქმს და გაასაჩივროს იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით